ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3246402

ნომერი: AR1495559

თარიღი : 13.04.2017

გაცემის თარიღი : 05.05.2017

გაცნობის თარიღი : 05.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ.აღმაშენებლის გამზირი N164 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი შუბითიძე პ/ნ 01017038701
- თბილისი ხ.აბოვიანის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სი-ტი პარკ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204543770
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამარ შუბითიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017038701

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ჰილკე ტომი ბლიკერი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. სარგებლობის უფლებით დატვირთულ ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს ასევე მოსარგებლ(ეებ)ის თანხმობა (შესაბამისი ფორმით დამოწმებული) ჩასატარებელ სამუშაოებზე;
2. წარმოდგენილი მინდობილობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით წარმოსადგენია დამკვეთის/განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
3. არ არის წარმოდგენილი განმარტებითი ბარათი სამუშაოების დეტალური აღწერით და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით;
4. წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალ-ცალკე ტოპო გეგმა და გენგეგმა (დატანილი საკადასტრო საზღვრებით) ყველა საპროექტო ობიექტის, მათ შორის ჭიშკრების, ჩვენებით;
5. გეგმებსა და გენგეგმაზე ნაჩვენები იქნეს ღერძები;
6. წარმოდგენილია ავტოსამრეცხაოს ნახაზები, რომლებიც სავარაუდოდ ასახავს საპროექტო მდგომარეობას, შესაბამისად გაურკვეველია, სარეკლამო აბრების გარდა არის თუ არა დაგეგმილი რაიმე სამუშაოები, ამასთან არ არის ნაჩვენები აბრების ზომები და მასალა. წარმოდგენილი უნდა იქნეს ანაზომები და საპროექტო ნახაზები საპროექტო სამუშაოების დეტალური ჩვენებით, შესაბამისი ზომების, ნიშნულების და დეტალების ჩვენებით;
7. მოთხოვნის ტექსტში აღნიშნულია 2 ჭიშკრის მოწყობა. წარმოდგენილია 1 ჭიშკრის კონსტრუქციული პროექტი. არქიტექტურულ პროექტში მოცემულია ჭიშკრების ესკიზური პროექტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია. მშენებლობის ორგანიზების პროექტში არ არის ასახული ჭიშკრების მოწყობის სამუშაოები. საპროექტო დოკუმენტაცია სრულყოფილად უნდა ასახავდეს ყველა საპროექტო სამუშაოს.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გასწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.